ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №2

ლანჩხუთი

20.02.2023 წელი
15.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – **გიორგი ხელაძე.**

კომისიის წევრები: ია მოქია, მაკა მშვიდობაძე, კარლო წილოსანი, ნინო მშვიდობაძე, დარეჯან ბურჭულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილი,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) **ნინო ძიძიგური,** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი **ლაშა სარჯველაძე,** მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია.**

სხდომის თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე
ირაკლი ხუხუნაიშვილი/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი ნინო ძიძიგური/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

4. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 6; წინააღმდეგი 0.

1. **დღის წესრიგის პირველ საკითხზე** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე ისაუბრა ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ოქტომბრის N784 ბრძანებულების პირველი მუხლის მე– 2 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნორმატიული ფასის დადგენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა ზემოთაღნიშნული სამართლებრივი აქტების პროექტები.

ამასთანავე, ამავე დადგენილებითვე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N2 დადგენილება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა როგორც დასახელებული დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე განკარგულების პროექტი, ისე შესაბამისი დადგენილების პროექტი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

მუხლი 1.

სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) გამოანგარიშდება შემდეგი ფორმულის მიხედვით: CN =IMGX ITL X CX K, სადაც:

1. CN არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.
2. IMG არის ქ. ლანჩხუთის მიკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,38-ს;
3. ITL არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის ერთს.
4. C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს.
5. K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა შეადგენს 100.

მუხლი 2.

პირველი მუხლის შესაბამისად, ქალაქ ლანჩხუთის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით: CN =0,38 X1 X 0,24 X 100=9,12.

მუხლი 3.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 35%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3,19 ლარს.

მუხლი 4.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს.

მუხლი 5.

სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3, მე-4 და მე-6 მუხლებით დადგენილი ნორმები.

მუხლი 6.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს), გარდა დანართის მე-2 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ტერიტორიებისა, მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. ლანჩხუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4,56 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3–მე-5 მუხლებით დადგენილი ნორმები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-6; წინააღმდეგი – 0

2. **დღის წესრიგის მეორე** საკითხზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსის) 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა აპარატის უფროსმა **ნინო ძიძიგურმა.** მან აღნიშნა, რომ საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია საკრებულოს აპარატი, რომლის ფუნქციები და მუშაობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტით და საკრებულოს აპარატის დებულების შესაბამისად.

საკრებულოს სხდომის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფის მიზნით საკრებულოს აპარატი უზრუნველყოფს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგისა და სხდომაზე განსახილველი საკითხების პროექტების და სხვა საჭირო ინფორმაციის მომზადებას, გამრავლებას, გამოქვეყნებას და საკრებულოს წევრებისათვის მათ მიწოდებას.

ასევე ადგენს მოწვეულ პირთა სიას, საკრებულოს წევრთა რეგისტრაციას და მათ გაფრთხილებას საკრებულოს თავმჯდომარის დავალების შესაბამისად.

დახმარებას უწევს საკრებულოს თავმჯდომარეს სხდომის წაყვანის პროცესში, სხდომაზე წესრიგის დაცვასა და სხდომის ტექნიკურ უზრუნველყოფაში.

აპარატი ასევე უზრუნველყოფს საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, მოადგილეების, საკრებულოს წევრების, კომისიის, ფრაქციის თავმჯდომარეების საქმიანობის ორგანიზაციულ, იურიდიულ, საინფორმაციო და მატერიალურ - ტექნიკურ მომსახურებას.

საქართველოს კანონმდებლობისა და საკრებულოს რეგლამენტის 107;108 და 110 მუხლით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საკრებულოს სხდომის ოქმის შედგენას, საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების გაფორმებას, გამოქვეყნებასა და დაგზავნას.

საკრებულოს აპარატი შედგება საკრებულოს აპარატის უფროსის, აპარატის სტრუქტურული ერთეულებისა და აპარატის სხვა საჯარო მოსამსახურეებისგან, რომელსაც ხელმძღვანელობს საკრებულოს აპარატის უფროსი, ვისაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს აპარატის უფროსის, აპარატის სტრუქტურული ერთეულებისა და სხვა საჯარო მოსამსახურეების უფლება - მოვალეობები განისაზღვრება კანონმდებლობით, აპარატის დებულებითა და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, ხოლო აპარატის დებულებასა და საშტატო ნუსხას საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

საკრებულოს აპარატში სულ დასაქმებულია 21 თანამშრომელი, მათ შორის 16 არის შტატით განსაზღვრული, ხოლო 5 შრომითი ხელშეკრულებით. მათი სტრუქტურა ფორმულირდება შემდეგნაირად;

პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) -1

მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) - 1

მის განყოფილებაშია მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-2, მესამე რანგის პირველი კატეგორიის სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში)-1 და მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში)-1.

მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს ხელმძღვანელი) - 1

მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - 9 და შრომითი ხელშეკრულებით -5.

2022 წელს საკრებულოს გადაწყვეტილებითა და თავმჯდომარის მიერ გამოცემულია სამართლებრივი აქტები, კერძოდ:

განკარგულება - 74
დადგენილება - 37
ბრძანება - 217
შრომითი ხელშეკრულება - 13
შეთანხმების აქტი - 7
ავტომანქანებზე გაფორმებული ხელშეკრულება - 11
ავტომანქანებზე გაფორმებული შეთანხმების აქტი - 9
ასევე საკრებულოს აპარატის ორგანიზებით ჩატარებულია სხდომები. კერძოდ:
საკრებულოს სხდომა -19
ბიუროს სხდომა - 13
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა -11
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა - 11
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა - 12
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა - 12
სოციალურ საკითხთა, განათლების ,კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა - 8
ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს " სხდომა - 13
ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის" სხდომა-17
ფრაქცია „ერთიანი ნაციონალურის მოძრაობის" სხდომა - 13

აპარატის უფროსმა მადლობა გადაუხადა საკრებულოს აპარატის ყველა თანამშრომელს 2022 წელს გაწეული მუშაობისთვის და აღნიშნა, რომ 2023 წელი წელი იქნება უფრო დატვირთული და ნაყოფიერი.

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს საკრებულოს აპარატის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობა. მათ აღნიშნეს, რომ საკრებულოს საქმიანობაში აპარატი მთავარი რგოლია, რომელიც ყოველთვის თავდაუზოგავად და უმწიკვლოდ მუშაობს. დოკუმენტაცია ყოველთვის მოწესრიგებულია და ყველა თანამშრომელი პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, რაც აპარატის ხელმძღვანელის დამსახურებაა. ასევე აღნიშნეს, რომ აუცილებელია ტექნიკური ბაზის განახლება, რათა უფრო შედეგიანი იყოს მათი მუშაობა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

3. **დღის წესრიგის მესამე** საკითხზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ." ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილების (ვებგვერდი 11/04/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.112.016351) პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში" შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილება:

1. მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. საკრებულოს წევრის მიერ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან საკრებულოს წევრებს აუნაზღაურდებათ, რომლის ზღვრული ოდენობაა თვეში - 750,0ლარი. “

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-6; წინააღმდეგი – 0

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

დასკვნა №2

ლანჩხუთი

20. 02. 2023 წელი

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი 1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2023 წლის 22 თებერვლის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

2. წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგის მესამე საკითხი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2023 წლის 22 თებერვლის სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

20.02.2023 წელი
15:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ხელაძე	14 55	
2	ია მოქია	14:57	
3	კახაბერ ასკურავა	—	არ ესწრებოდა
4	მაკა მშვიდობაძე	14:55 წთ.	
5	კარლო წილოსანი	14:58	
6	ნინო მშვიდობაძე	14:00	
7	დარეჯან ბურჭულაძე	14:55	